თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2529782

ნომერი: AR1392354

თარიღი : 01.04.2016

გაცემის თარიღი : 08.04.2016

გაცნობის თარიღი : 10.04.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დავით აღმაშენებლის ხეივანის N2-სა და N4-ს შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი

- როინი ხიჯაკაძე პ/ნ 56001004938
- დიდი დიღომი, მირიან მეფის ქ. #13, ბინა #44

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1392354 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი #2-სა და 4-ს შორის მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.72.14.034.073) განთავსებული ობიექტის დემონტაჟის ან რაიმე სახეცვლილების ნებართვასთან დაკავშირებით წარმოებაში ჩართვას.

2016 წლის 25 მარტს #AR1389558 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე ბექა ვაშაკიძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი #2-სა და 4-ს შორის მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.72.14.034.073) ბენზინ გასამართი სადგურის დემონტაჟის ნებართვა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, #2525742 გადაწყვეტილებით სამსახურის მიერ მასში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები, რის გამოც ამ ეტაპზე აღნიშნული ნებართვის გაცემა არ მომხდარა.

ამასთან გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი #2-სა და 4-ს შორის მდებარე მიწის ნაკვეთზე (თქვენს მიერ რუკაზე მონიშნულ ტერიტორიაზე) სამსახურში ამ ეტაპზე ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და წარმოების განახლებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

ამასთან გაცნობებთ, რომ აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.
